ოქმი #6

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 11 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ნ. ბერიკაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა. ხარაზიშვილი, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 12 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორის მ. შ.: ნინო ფარცვანია;

ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების გამგე: ნ. შავლაყაძე.

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების არჩევნები.

არჩეულ იქნა: სხდომის თავმჯდომარე - ალექსანდრე ხარაზიშვილი, სხდომის მდივანი - სერგო ხარიბეგაშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ა. ხარაზიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საარჩევნო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია შემდეგი კანდიდატურები:

1) ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ხვედრი ინასარიძე;

2) მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მამუკა ჯიბლაძე;

3) გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - თორნიკე ქადეიშვილი;

4) მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ვახტანგ კოკილაშვილი;

5) დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ივანე კიღურაძე;

6) მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - როლანდ დუდუჩავა;

7) დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ნუგზარ შავლაყაძე;

8) თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მერაბ ელიაშვილი;

9) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მიხეილ მანია.

ზემოთ ჩამოთვლილი კანდიდატურები აკმაყოფილებენ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 13 სექტემბრის ოქმი # 3-ით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურითა“ და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: თითოეული კანდიდატურის გამოსვლა და მათი ხედვები სათანადო განყოფილების განვითარების შესახებ.

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე. ჩატარდა ღია კენჭისყრა თითოეულ კანდიდატურაზე ცალკ-ცალკე. საბჭოს წევრებმა, რომლებიც ამავდროულად კონკურსანტები იყვნენ, არ მიიღეს თავიანთ საარჩევნო კენჭისყრაში მონაწილეობა.

კენჭისყრის შედეგები:

1) **ხვედრი ინასარიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

2) **მამუკა ჯიბლაძე** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

3) **თორნიკე ქადეიშვილი** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

4) **ვახტანგ კოკილაშვილი** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

5) **ივანე კიღურაძე** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

6) **როლანდ დუდუჩავა** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

7) **ნუგზარ შავლაყაძე** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 12-მა წევრმა):

   მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0.

8) **მერაბ ელიაშვილი** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

9) **მიხეილ მანია** (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 11-მა წევრმა):

   მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ხვედრი ინასარიძე**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.
2) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **მამუკა ჯიბლაძე**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით.

3) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **თორნიკე ქადეიშვილი**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

4) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ვახტანგ კოკილაშვილი**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

5) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ივანე კიღურაძე**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

6) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **როლანდ დუდუჩავა**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

7) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნუგზარ შავლაყაძე**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით.

8) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ელიაშვილი**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით.

9) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 5 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **მიხეილ მანია**. იგი იმავდროულად არჩეულ იქნა ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით.

10) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების არჩევნების შედეგები დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს.

სხდომის თავმჯდომარე ა. ხარაზიშვილი

სხდომის მდივანი ს. ხარიბეგაშვილი